საიჯარო კომერციული ობიექტების ძირითადი მახასიათებლები / მოთხოვნები :

- **განლაგება** - შესასვლელი უნდა მდებარეობდეს ფეხით სავალი გზის პირთან ერთ სიბრტყეზე.
- **შიდა ფართი** - ობიექტი უნდა იყოს ერთიანი სივრცე (შიდა კარებების გარეშე) და ერთ დონიანი (შიდა კიბეების გარეშე) ასევე აუცილებელია იყოს რაც შეილება ნაკლები ტიხრები და საყრდენი კედლები
- **ფასადი** - ფასადზე უნდა იყოს შესაძლებლობა ნიკორას აბრის განთავსების, სასურველია / უპირატესია ვიტრაჟული ფასადი.
- **ობიექტის ფართობი** - სრული ფართი მინიმუმ 170კვმ (აქედან 20-30 კვ.მ სასაწყობე ფართი, დანარჩენი სავაჭრო დარბაზი). იდეალური ფართი 200-300კვმ სასაწყობე ფართის ჩათვლით. გამონაკლისად შესაძლებელია უფრო პატარა ფართების განხილვა თუ ადგილმდებარეობა არის ძალიან დატვირთული ხალხის ნაკადით.
- **ჭერი** - სიმაღლე უნდა იყოს მინიმუმ 3,2 მეტრი, ზედა სიმაღლეზე შეზღუდვა არ არის.
- **შესასვლელი** - ცენტრალური შესასვლელი უნდა ქონდეს ქუჩის მხრიდან ასევე მნიშვნელოვანია სადისტრიბუციო ავტომობილების ცალკე, საწყობთან, მისადგომი.
- **კონდიცია** - გაურემონტებელი (შავი კარკასი) ან თეთრი კარკასი ორივე მისაღებია. შენობა შეიძლება იყოს როგორც ძველი აშენებული ასევე ახალი.
- **კომუნიკაციები** - აუცილებელია დენი და წყალი. დენი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ვინაიდან სამაცივრე და კლიმატის აგრეგატები ითხოვენ მნიშვნელოვან სიმძლავრეს (მინიმუმ 50კილოვატი 170კვადრატულ მეტრზე) რაც როგორც წესი ობიექტის მეპატრონეებს არ აქვთ გათვალისწინებული. დენის სიმძლავრის გაზრდა ხდება მიღება ჩაბარებამდე და/ან ქირის ათვლის დაწყებამდე ვინაიდან მის გარეშე მაღაზია ფიზიკურად ვერ მუშაობს.
- **პარკინგი** - მნიშვნელოვანია თუკი შემოთავაზებული ფართი მოშორებითაა საცხოვრებელი კორპუსებისგან და მომხმარებლების ძირითადმა ნაკადმა ავტომობილით უნდა იაროს.
- **მდებარეობა** - ობიექტის შერჩევისას განხილულ იქნება მდებარეობის შემდეგი უპირატესობები : გაჩერებასთან სიახლოვე, მეტროს მიმდებარედ, მჭიდროდ დასახლებული უბნის პერიმეტრზე, ხალხმრავალი და ტრაფიკიანი ქუჩები / მოედნები
- **არსებული მარკეტები** - შესაძლებელია არსებული / მოქმედი სურსათის მაღაზიების იჯარით აღებაც - იგულისხმება არაბრენდული მარკეტები რომლებიც ოპერირებენ ბაზარზე

- **მოსაწოდებელი პირველადი დოკუმენტაცია - ფოტო მასალა** - აუცილებელია ობიექტების როგორც ფასადის ასევე შიდა მდგომარეობის ფოტო მასალის მოწოდება (სასრველია არსებული სიტუაციური ნახაზიც), საჯარო რეესტრის ამონაწერი და ობიექტის შიდა აზომვითი ნახაზი